გან ზემო თქმულთა მებრ ენათა ვჰპოვე. 2. ვინა-  
დგან რომელთაცა მებრ ენათა იქმნების შემასმე-  
ნელობითი ბრუნუად, ყოველთა წერილთა, და საუ-  
ბართა მათთაებრ სიტყუათა შინა ძიება ნათესავისა  
არს შემასმენელობითი.

გ. არლა მეცნიერ ვიყავ ჯერეთლა სხუათა ენათა  
არა ყოფისა შემასმენელობითისა ბრუნვისასა.

დ. არ საჭირო ყოფა შემასმენელობითისა  
ბრუნვისა ჩემისა მებრ ენისა ცნობილ იქმნა ჩემ  
მიერ, მით რომელ დროსა ყოფისა ჩუჭნისასა ევ-  
როპიასა შინა ფრიადი ძიებად მაქუნდა ქცევათა  
ჩუჭულეებისათა თვთოეულთა ენათა მიმართ; ხო-  
ლო ენისა მებრ იტალიანისა და ჭრანციისა არ ყო-  
ფად ვჰპოვე შემასმენელობითისა ბრუნვისა, და ძიე-  
ბად ნათესავისა სიტყუასა შინა იხმევენ წრფელო-  
ბითსა სახელსა.

ე. ჩუჭნისა მებრ ენისა ღრამმატიკასა შინა  
ახალსა გამოცდილებამან ვერ მასწავა მე სავსებით  
საქმედ ღრამმატიკოსობითისა ხელოვნებისა, რომ-  
ლისათვის თქმად იგი მალაქიას შინა, იაკობი შვეი-

ყურე, ხოლო ესავი მოვიძულე (თ. 1. 2. 5. ) და კუალად: მამად გვივის ჩუჭნ აბრაამი. (მატ. 5. 9.), რომლითა ორ-სახეობა იგი წუალეებისა შემასმენელობითად ბრუნვილისა მომიგონდა მე, მაგ. მამად აბრაამი.

ვ. მაგრა ვინადღან არა აქუს კანონი პირუჭლისა მის ღრამმატიკისა ქმნისა დროსა ჩუჭნგან მდებარედ რათა უფლად შემასმენელობითიმცა ბრუნვილი მოვიდეს სახელი, სადა დავჰსდუათ თქმად იგი დანიელისა შინა თქმული: იყო დანიელი თანამცხოვრებელ მეფისა (თავ. 14. 1.), რომელიცა უფლად და არა ძიებად ი დაბოლოებული სახელი, მაშინ ჩუჭნგან გამოუცდელობისა ძლით ოცნებული, რომელი დანიილი და უმრავლესსა-ცა ადგილსა სახელნი დ ასოთა დაბოლოებულნი წრფელობითად იპოვებიან, რომელთა მიმართ მრავალი გჰქმნიეს მცნობელობად; მაშა სადამე წერილთა შინა ჩუჭნთა წერილნი ი დაბოლოებულნი და დ არა შემასმენელობითნი არიან ოდენ, არამედ წრფელობითნიცა.

ზ. ვინადთგან არა სირცხულ-არს ენისა მის მიმართ, რათა სიტყუასა შინა ძიებად ნათესავისა დაეკუჭთოსმცა წრფელობითი, ვითარ იგი ვჰსცანთ იტალიანთა, და ჭრანციისა მებრ ენისა, და ოდესმე ლათინურისა მებრცა, რად აყენებს, რათა ჩემისა მებრ ენისა ძიებად ნათესავისაებრ სიტყუასა შინა იყოსმცა წრფელობითი, და არა იძულებით საბლითა მეცადინობისათა მოვათრიეთმცა შემასმენელობითი.

წ. მაშა სადამე არა არს საჭირო ჩუჭნდა, რათა შემასმენელობითად ვაბრუნეთმცა წრფელობითი.

თ. აწუკუჭ გჰპოვნიეს საქმედ მართალი, ვითარმედ ვითარ იგი არა არს საჭირო ენისა მიმართ ჩუჭნებრისა, ვგსახედ არცაღა არს სახმარი შემასმენელობითი ქონებად; მაგრა ვინადღან წრფელობითად ბრუნვილი საძიებო არს ნათესავისა შემოქმედებითისა ზმნისა, რომელი ვითარებასა მოქმედებისა შეასმენს ქუჭ-მდებარისა მიმართ სახელისა,

ამისთვის იკანკლედად მეოთხედ ბრუნუასა შინა სახელისასა ითქმის და სადაცა ეს გუარ საძიებო არს, მახვილისა მიერ აკრულისა განირჩევის. და რუასა რიცხუსა აღავსებს ბრუნვისასა, დაღათუ თავით თვსით არა ბრუნუა არს.

ი. ესე არს ჰაზრი ჩუჭნი ამისთვის, ვითარმედ წრფელობითი თვთ მდგომარესა არსებასა რადვესა დანიშნავს მარტივად და არა სხუასა რადვესა და ვინადგან წრფელობითი ჰხშირად აარებეს თავსა თვსსა სიტყუასა შინა ნათესავისა მეზრ საძიებოდ თხოვილად ზმნისაგან შემოქმედებითისა, ესე არღარა მარტივად დაჰნიშნავს თვთ მდგომარესა არსებასა, არამედ ქუჭ-მდებარედ ვითარისაცაღა იყოს მოქმედებისა; ამისთვის თვთ იგივე წრფელობითი ვჰსთქვთ პირუჭლსა ნაწილსა შინა, ესე იგი, შემასმენელობითად; ხოლო არა სხუად წრფელობითისაგან, არამედ იგივედ მეცნავ-ვართ მისდა თქმულთა მიზეზთათვის:

ია. მხოლოობითსა შინა ეს გუარ წრფელობით-შემასმენელობითსა აქუს წუალეზად სამად, რომელ-არიან ი, ე, და ვ: ხოლო იბრუნვის პირუჭლისა მეზრ ნიშნისა, მაგ. მარიამი; თუ სადამე უხმოდათ არს დაბოლოებულ: სიტყუად, მზედ, ტყუჭდ, ოქროდ, ბრჯგუდ, მოგვ: სახელნი ესე ა, ე, ზ, ო, უ, დაბოლოებულნი წრფელობით შემასმენელობითნი მეორითა ნიშნითა იბრუნვიან: ხოლო ი დაბოლოებულნი, მაგ. კეთილი, ტამარი, ეგსახედ ვ ასოდთა თვსისა მეზრ ბოლოდსა ასოდსა იბრუნვიან, მაგ. კეთილი, ტამარი, ლედვ და სხ.

იბ. ხოლო ვინადგან სახელი ესე წრფელობითი ნათესავისამეზრ საძიებოდ შემოქმედებითისა ზმნისაგან თხოვილი განმეორებასა შინა ღრამმატიკისასა დაიდუა ესრეთ ჩუჭნი მიერ, მესამედ ესე ნიშანი, რომელთა ვ, აწ დაგვრთავს, ამისთვის ვითარმედ ვითარ იგი მოქმედებს ი, ბოლოდ ასოდ სახელი წრფელობითისა მიმართ ბრუნვისა, მასვე ვ, ეგსახედ მრავალ-ჯერ უხმონიცა, და ხმოვანნი კიდურნი სახელისანი, არცა ერთთა მიიღებენ თქმულთა ნიშანთა, არამედ საკუთართთა თვსითა

წრფელობით-შემასმენელობითობენ.

იგ. ხოლო ეს-გუარ ბრუნვილისა სახელისა მრავლობითად იგივე არიან ნიშანნი, რომელნიცა ითქუნეს თვთ მდგომარისა არსებისა მარტივად მნიშვნელისა წრფელობითისათვის მრავლობითისა, რომელთაცა ზემო დასხმად მახვილთა ვასწავებთ განრჩევისათვის შემასმენელობითისა წრფელობითათაგან.

იდ. მაშა სადამე წრფელობითსა იგივეობაჲ აქუს ბრუნვითთა შესახედავითა, და სხუაობაჲ აქუს ძალითა.

§ 145. ყოველნი ზმნანი ვნებითნი შეითხზვან ორთა თანა სახელთა, რომელთაგან ვნებულ-არს უფალი; ხოლო მოქმედი არს ძიება, მაგ. კაცი ბედნიერ-იქმნების ჰსწავლითა, ქუჭყანა განათლდების მზითა და სხ. – ამათ მაგალითთა შინა კაცი და ქუჭყანა არიან ვნებულნი უფალნი; ხოლო სწავლა და მზე არიან მოქმედნი ძიებანი.

§ 146. უფლად ზმნისა იხმარების ნიადაგ, ანუ სახელობითი, ანუ მიცემითი, ანუ მოთხრობითი, რომელთაგან სათანადო-არს რათა თვთოეული თანხმობდეს ზმნისა თვისსა თანა რიცხვთა და პირითა, მაგ. პეტრე ჰსწერს; იოანე იკითხავს; პავლეჲმან განსაჯოს; ღმერთსა უყუარს მართალი და სხ. შემოქმედებითისა ზმნისა, ნათესავისა ძიებად იხმარების ნიადაგ ანუ ბრუნუა მიცემითი, ანუ სახელობითი; ხოლო ვნებითისა ზმნისა ნათესავისა ძიებად ანუ ნათესაობითი თანდებულისათაგან ანუ მოქმედებითი.

§ 147. საშუალონი ზმნანი შეითხზვან თვთოთა თანა სახელთა, რომელნიცა არიან უფალნი მათნი, მაგ. მზე ნათობს; კაცი ვალს; ცხოველი გრძნობს და სხ.

§ 148. ძიებანი ზმნისა იქმნებიან, ორ-გუარნი: ძიება ნათესავისა და ძიება ბუნებისა. ნათესავისა ძიება მიიღების ზმნათაგან შემოქმედებითთა და ვნებითთა. შემოქმედებითთა ზმნათა შორის ძიება აღნიშნავს ვნებულსა; ხოლო ვნებულთა ზმნათა შორის მოქმედსა. ბუნებისა ძიება აღნიშნავს მოქმედებისა საშუალობასა ანუ გარემოებასა, მაგ. ქარმან აღგავოს მტუჭრი პირისაგან

ქუჭყანისა. – ქარი არს უფალი; მტუჭრი ნათესავისა ძიება; პირისაგან ქუჭყანისა ძიება ბუნებისა.

§ 149. შემოქმედებითნი და ვნებითნი ზმნანი ზოგჯერმე მიიღებენ ორთავე ძიებათა, ე.ი. ძიებასა ბუნებისა და ძიებასა ნათესავისა; ხოლო საშუალონი ზმნანი მხოლოდ, ბუნებისა ძიებასა, მაგ. უფალი აღსდა ფრთეთა ზედა ქართასა; აქა უფალი არს მოქმედი საშუალოდსა ზმნისა; ხოლო ფრთეთაზედა ქართასა ძიება ბუნებისა.

შეთხზუა ზმნათა სახელთა თანა საზღურებითა სქესსა შინა.

§ 150. ა. ყოველნი ზმნანი შემოქმედებითნი კანონიერნი პირუჭლისა უღლვლებისა, აწმდგომსა, ქმნულსა უსრულსა და ქმნადსა დროთა შინა მიიღებენ უფლად ბრუნუასა სახელობითა, ხოლო ძიებად ნათესავისა მიცემითა, მაგ. განათლება შეამკობს სახელმწიფოსა; წინასწარ მეტყუჭლი დავით აქებდა ღმერთსა; იოანე ჰსწერს, დასწერს წიგნსა და სხ. – ბ. ქმნილსა სრულსა დროსა შინა მიიღებენ უფლად ბრუნუასა მოთხრობითა და ძიებად ნათესავისა სახელობითა. მაგ. მეფემან მირიან° მიიღო სარწმუნოება ქრისტიანებრი; დი-მან პეტრე° აღამაღლა რუსეთი და სხ. – გ. ქმნულსა უსრულესსა დროსა შინა მიიღებენ უფლად ბრუნუასა მიცემითა და ძიებად ნათესავისა სახელობითა, მაგ. მეფესა ალექსანდრეს აღუშნებეს ახლად ეკკლესია მცხეთისა; სიბრძნესა შეუმკვიეს ქალაქი ათინაჲ და სხ. სხო. ზმნანი მოხსენებულნი § 69. შემეც. 12. და მჰსგავსნი მათნი მიიღებენ აწმდგომსა და ქმნილსა უსრულსა დროთა შინა უფლად მოთხრობითა, ხოლო ძიებად სახელობითა, მაგ. უფალმან დაიცუნის მწირნი და ობოლნი; ქარმან აღგავის მტუჭრი ანუ ქარმან აღგავის ხოლმე მტუჭრი და სხ. – ამასვე კანონსა შეუდგებიან ზმნანი: ვიცი და ვუწყი, მაგ. ღმერთმან უწყის წინასწარი; არავინ იცის კაცისა, გარნა სულმანვე კაცისამან; ციცერონ-მან იცოდა შეთქმულება კატალინასი; მოსრნის მხეცნი და ნადირნი, ისარმან ჩემმან სრულმან. –

ტარ.

§ 151. ყოველნი ზმნანი მეორისა უღლვლები-  
სა ითხოვენ ნიადაგ უფლად ბრუნჭასა მიცემითსა;  
ხოლო ძიებად ბრუნჭასა სახელობითსა, მაგ. რო-  
მელსა უყჭარს სიცრუე. მას ჰსძულს სული თვ-  
სი; რომელსა ჰსწამს ღმერთი, იგი ესავს მას და სხ. –  
ზმნანი უღლვლებისა არის, დროთა მათ შინა, რო-  
მელთაცა ივასხებენ პირჭჭლისა უღლვლებისა,  
მიიღებენ უფლადცა და ძიებადცა, მისთავე ზმნათა  
ბრუნჭათა.

§ 152. ზმნანი სხმით-გარდასლვთნი და მრჩობლ-  
სხმით-გარდასლვთნი მიიღებენ უფლად ბრუნჭათა  
მათ, რომელთაცა პირჭჭლ-სახენი მათნი, – უსრულ-  
სა დროსა შინა მიიღებენ ორთავე ძიებათა მიცემი-  
თად; ხოლო სრულსა და უსრულსა დროთა ში-  
ნა ერთსა მიიღებენ მიცემითად და მეორესა სახე-  
ლობითად, მაგ. მოძღუარი აღასრულებინებდა თა-  
ნამდებობასა მოწაფესა თვსსა; მოძღუარმან აღა-  
სრულებინა თანამდებობა მოწაფესა თვსსა და სხ.

შეთხზუა ზმნათა სათუვოსა სქესსა შინა:

§ 153. ზმნანი ამა სქესისა აწმდგომსა  
დროსა შინა მოითხოვს უფლად ბრუნჭასა  
სახელობითსა, ხოლო ძიებად მიცემითსა, მაგ. უკე-  
თუ კაცი იმარხევდეს მცნებათა და სხ. –

დრონი: ქმნილი უსრული, სრული და უსრუ-  
ლესი მიიღებენ უფლად ბრუნჭასა მიცემითსა, ხო-  
ლო ძიებად ბრუნჭასა სახელობითსა, მაგ. უკეთუ  
პავლეს ეწერა, დაეწერა, დაეწეროს წიგნი და სხ. –

ქმნადი დრო სრული და უსრული მოითხოვს  
უფლად ბრუნჭასა მოთხრობითსა, ხოლო ძიებად  
სახელობითსა, მაგ. რომელმან ყოველი ჰსჯული  
იმარხოს, ანუ დაიმარხოს და სხ.

შეთხზუა ზმნათა ბრძანებითსა სქესსა შინა.

§ 154. ზმნანი ამა სქესისა წართქმითნი ორთავე  
დროსა შინა მიიღებენ უფლად მოთხრობითსა ბრუ-

ნუასა, ხოლო ძიებად სახელობითსა, მაგ. პეტრე-  
მან ჰსწეროს ანუ დაჰსწეროს წიგნი; ხოლო უკუ-  
თქმითნი უფლად სახელობითსა და ძიებად მიცემით-  
სა; მაგ. პეტრე ნუ ჰსწერს ანუ, ნუ დაჰსწერს  
წიგნსა.

მეორე გუარი უკუთქმითი უფლად მიიღებს  
მოთხრობითსა; ხოლო ძიებად სახელობითსა,  
მაგ. პეტრემან არა ჰსწეროს ანუ, არ დაჰსწეროს  
წიგნი და სხ.

#### შ ე თ ხ ზ უ ა ვ ნ ე ბ ი თ თ ა ზ მ ნ ა თ ა

§ 155. ვნებითნი ზმნანი ყოველთა სქესთა და  
დროთა შინა უფლად მიიღებენ სახელობითსა, ხო-  
ლო ძიებად მოქმედებითსა ბრუნუასა ანუ ნათესაო-  
ბითსა თანდებულთა მიმატებითა: გან, მიერ, გა-  
მო, მაგ. ბოროტი კაცი ისჯების სჯნდისითა;  
უგუნური იწურთნების მოძღურებითა; მართალი  
შეიყუარების ღმთისაგან, ანუ ღმთისა მიერ და სხ.

შეთხზუა ზმნათა განუსაზღვრებელსა სქესსა შინა:

§ 156. განუსაზღვრელი სქესი მიიღებს ძიე-  
ბად ნათესაობითსა და სახელობითსა ბრუნუასა: პირ-  
უწყლსა მაშინ, ოდესცა პიროვანი ზმნა მისი მოით-  
ხოვს მიცემითსა, მაგ. განვიზრახავ მიცემად  
მისსა წერილსა; ხოლო მეორესა, რაჟამს  
ზმნა იგი მოითხოვს სახელობითსა ბრუნუასა, მაგ.  
განვიზრახე მიცემად მისდა წერილი.

§ 157. ზმნანი ჯერ-არს, სათანადო-არს, ჰშუჭ-  
ნის ოდესმე დაიდებიან განუსაზღვრებელითა სქესი-  
თა, მაგ. ჯერ- არს აღორძინებად და სხ. გარნა  
ცხად-ყოფისათვის სიტყვსა უმჯობეს-არს რათა ნა-  
ცულად მისსა იხმარებოდეს სახელი არსებითი ანუ  
სახელ-ზმნა (§ 78), მაგ. ჯერ-არს შეყუარება  
მოყუასისა; ნაცულად, შეყუარებად და სხ.

#### შ ე თ ხ ზ უ ა ს ა შ უ ა ლ ო თ ა ზ მ ნ ა თ ა :



§ 158. საშუალონი ზმნანი არიან ორ-გუარნი ვითარცა ითქუა § 50. პირუჭლნი მათგანნი, რომელნიცა მიმოიხუტიან მჰსგავსად შემოქმედებითა, ყოველთა სქესთა და დროთა შინა დაიდებიან იმავე ბრუნუებითა ვითარცა შემოქმედებითნი; ხოლო რომელნიცა მიმოიხუტიან მჰსგავსად ვნებითა, იგი-ნი ყოველგან დაიდებიან სახელობითა ბრუნუასა შინა.

შ ე თ ხ ზ უ ა ა რ ს ე ბ ი თ თ ა ზ მ ნ ა თ ა .

§ 159. უფალნი არსებითა ზმნათა ყოველთავე სქესთა და დროთა შინა დაიდებიან სახელობითა შინა ბრუნუასა, მაგ. ნეტარ-არს კაცი, რომელი არა მივიდა; უფალი მეუფე არ; ჭემმარიტება უფლისა ჰგიეს უკუნისამდე.

სხო. ოდესმე არსებითი ზმნა, არს და იქმნების მიიღებენ ორთა სახელობითა ბრუნუათა, მაგ. დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა, და ოდესმე მეორესა სახელსა მოესპობის ასო ი, მაგ. ღმერთნი წარმართთანი ეშმაკ-არიან; არქუ ქუათა ამათ რათა პურ იქმნენ.

თანასწორ ამისა იქცევიან შემდგომნი ზმნანი:

ვასწავებ, ვაძლევ, მაგ. მოძღუარი ასწავებდა ღრამმატიკასა მოწაფეთა თვსთა; მოძღუარ-

მან ასწავა ღრამმატიკა მოწაფეთა თვსთა; მო-

ძღუარსა უსწავებთს ღრამმატიკა მოწაფეთა თვს-

თათვს; ღმერთი აძლევდა საზრდოსა გლახაკთა;

ღმერთმან მისცა საზრდო გლახაკთა; ღმერთსა მიუ-

ციეს საზრდო გლახაკთათვს.

ამასვე კანონსა შეუდგებიან ზმნანი მიმღებნი: ე,

ანუ უ, შემდგომად მაპიროვნებელისა ასოსა ვ,

მაგ. ვესური, ვეუზნები, ვაბრალეზ, ვასმევ, ვუამ-

ბოზ, მაგ. ვესური ნადირსა ისარსა; ვესროდი ნა-

დირსა ისარსა; ვესროლე ნადირსა ისარი და სხ.

§ 160. ქართულსა ენასა შინა იპოებიან ზმნანი ნაკლ-მიმღებთნი, რომელთაცა რუსულსა ღრამმატიკასა შინა ეწოდების Дѣпричаст е, მაგ. ვჰს-ჯდები, ჯდომელა; (сидя); ვჰსდგები, დგომე-

ლა (Стоя); ვკსწუჭბი, წოლელა (Лежа) და სხ. – ვიეთთამე ზმნათა აქუსთ ესე ვითარი ნაკლ-მიმდე-ობა უკუთქმითად, მაგ. უსტწნებლივ Не отды-хая или не останавливаясь; უკლებლივ Ничево не изъемля или сполия. – პირტწლსა შემთხტწვასა შინა ე.ი. დამტკიცებითად, მცირედთა ზმნათა აქუსთ ნაკლ-მიმდეობისა სქესი.

§ 161. ოდესცა მრავალნი არსებითნი სახელნი დაკავშირებულნი ანუ უკავშირონი მოვლენ რა უფლად ზმნისა, მაშინ ზმნა მათი დაიდების მრავ-ლობითად, მაგ. ცხოვრება და სიკუდილი განუსტწ-ნებელ-ჰყოფენ კაცსა. – გარნა ზმნა დადებულიცა მხოლოობითად, ოდესმე უხმარიესთ მწერალთა, მაგ. ღვინო და ზეთი ჰსჩანს ბროლისა ჭურჭელსა და სხ.

§ 162. მრავალნი ზმნანი, დაკავშირებულნი ურ-თიერთარს კავშირითა ითხოვენ ერთსა და მასვე უფალსა და ძიებასა ერთითა ბრუნვთა, მაგ. უფალი მოაკუთდინებს და აცხოვნებს, შთაიყუანს ჯოჯო-ხეთად და აღმოიყუანს, დააგლახავებს და განამდიდ-რებს, დაამდაბლებს და აღამაღლებს.

§ 163. ზმნანი პირნაკლნი ორთავე გუარისა ყოველსა შინა დროსა და სქესსა მიიღებენ უფლად და ძიებად ყოველთა მათ ბრუნუთა, რომელთაცა პიროვანნი მათნი ზმნანი, მაგ. გიგალობთ შენ, გა-კურთხევთ შენ; უკეთუ მე დაგბანენ ფერხნი და სხ.

§ 164. ზმნანი მექონნი მესამისა ოდენ პირისა (§ 67.) ანუ უპირონი შეეთხზვან მიცემითსა ბრუ-ნუასა, მაგ. ჯერ-არს-იყო შენდა; ხშირად სახელ-სა, ამა მიცემითსა შინა ბრუნუასა მიემატების მარ-ცუალი და, ად, მაგ. ჯერ-იყო იოანესად ანუ იოანესდა ქმნა საქმისა ამის.

§ 165. იპოვებიან ზმნანი წერილთა შინა, რო-მელნიცა შეუთანახმავებით ნათესაობითისა ბრუ-ნუსა თანა წინააღმდეგ ენისა თვსებისა, მაგ. მივალ მამისა; გარნა აქა ცხადად იგულხმების რო-მელ აკლს სახელსა ამას ნათესაობითად და-დებულსა თანდებული დმი, ე.ი. მივალ მამი-სადმი; – ოდესმე იპოვებიან ზმნანი შეთანხმავებულ-ნი ნათესაობითისა თანა ბრუნუსა უკანონოდ, ნა-

ცულად სახელობითისა, მაგ. დაივიწყეს უფლისა ე.ი. უფალი; 1. მეფ. 12. 9. მომიღეთ მე სამოსლისა ეფუდისა – სამოსელი ეფუდი 1 მეფ. 14. 18. და სხ. – ესე ვითარნი და სხუანიცა ადგილნი წერილთა შინა პოეზულნი, არა გუაიძულებენ რათა შემოვიტანოთ მათთვის საკუთარნი კანონნი. მწერალთა უხმარიათ ესრეთ სურვილისამებრ თვისისა და მიუხედულად ენისა თვისებისა.

§ 166. ოდესმე ზმნანი შემოქმედებითნი საზღურებითისა მებრ სქესისა მხოლოობითა ა.) აწმდგომსა დროსა შინა მიმოიხურნიან რეცა მრავლობითად, ოდეს ერთისა მოქმედებისაგან ქმნილან მრავალთადმი მოქმედებანი, მაგ. მიყუარან, გქონან, ჰყუანან; ბ.) ქმნილსა უსრულსა შინა ესრეთ: შევიყუარნი, შევკრნი, განვბანნი, დაამხუნის; გ.) ქმნილსა სრულსა შინა: შეიყუარნა თვისნი იგი ამა სოფელსა შინა (იოან. 13. 3.), აკურთხნა იგინი სიმეონ (ლუკ. 2. 34.) – მრავლობითად ვაკურთხენით; აკურთხნეს და სხვ. დ.) ქმნილსა უსრულესსა შინა: წარუყუანიან, შეეყუარნა, ეკურთხნა და სხ. ე.) ქმნადა შინა: არა ვიტყვ, რათა აღიხუნე იგინი სოფლისაგან, არამედ რათა დაიცუნე იგინი და სხ. – მრავლობითად: აღიხუნით, დაიცუნით, აკურთხენით და სხ. – ბრძანებითა შინა სქესსა დამტკიცებითად: აღიარენ, განბანე; ხოლო უკეთქმითად: ნუ გრწამნ, ნუ გიყუარან, ნუ გსურნ და სხ. – სათუვოსა შინა სხუათა და სხუათა დროთა შინა: დაიცუნე, აკურთხნე; დამიცვან, აღმიხვან: შემეწყნარნე, დამიცუნა და სხ. (\*)

---

(\*) იხ. ღრამმ. ანტ. § 245.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე  
შ ე თ ხ ზ ჯ ს ა თ ჯ ს მ ი მ ღ ე ო ბ ა თ ა .

§ 167. მიმღეობანი, რომელნიცა მჰსგავსად სახელთა ზედ-შესრულთა იქცევიან სიტყუ-

თა შინა, შეთანხმავდებიან არსებითა თვსთა თანა რიცხვთა და ბრუნვთა, მაგ. ღმერთი ყოვლისა-მპყრობელი, აღწერილი წიგნი და სხ.

§ 168. მიმღობა მოქმედებითი ითხოვს სამიე-ბოდ ნათესაობითსა ბრუნუასა; მაგ. ღმერთი შე-მოქმედი ცისა და ქუჭყანისა; ხოლო ვნებითი მოქ-მედებითსა ანუ ნათესაობითსა თანდებულთურთ გან, გამო, მიერ, მაგ. გუჭმული კუჭრთხითა, ეპის-ტოლუ აღწერილი მეგობრისა ჩემისა მიერ; საქმე დაწყებული იოანესგან, გამო და სხ.  
სხო. ა. შემოქმედებითი მიმღობა მიიღებს ზოგ-ჯერმე ძიებად ნაცულად ნატესაობითისა მი-ცემითსა, რაჟამს შეუდგების მათ სხუა ნათესაო-ბითი, მაგ. სამღრთოსა ამას დღესასწაულებისა აღ-მასრულებელნი; გარდამხდელი ვალსა წინაპართა-სა; – გარნა ესე ვითარნი ხმარებულნი წერილთა შინა შეთხზუანი: არიან არა კანონიერნი.

ბ.) მიმღობანი ოდესმე მიიღებენ ნაცულ-სა-ხელთა სახელობითსა შინა ბრუნუასა, მაგ. ერო ჩემო, მნატრებელნი შენნი გაცთუნებენ თქუჭნ ანტ. 586.

გ.) მიმღობანი ვნებითნი ოდესმე მიიღებენ სა-ხელთა ზმნის-ზედად დაბოლოებულთა (იხ. § 85. ) მაგ. დადგინებული მეფედ; მოღებული სასმელად და სხ.

§ 169. მიმღობანი წარმოებულნი ზმნათაგან უმეშუწობითთა არა ითხოვენ ნათესავისა ძიებასა, არამედ ბუნებისა ძიებასა და ამისათვს მიიღებენ სხუა-თა და სხუათა ბრუნუათა, ანუ თანდებულთურთ ანუ თვნიერ თანდებულისა, მაგ. მავალი გზასა; მავალი გზასა ზედა; მტირალი შვლთა, მტირალი შვლთათვს და სხ.

§ 170. მიმღობანი ყოველთა დროთა შინა გარ-დავლენ ზმნის-ზედადცა დამეტებითა მარცულისა, ად, მაგ. მიმღებელად, შესაწყნარად, წარსრულად, საწერად, დასაწერად და სხ.

§ 171. მიმღობანი სიტყუათა შინა იპყრობენ ზმნისა და კულავ-მოღებითისა ნაცულ-სახელის: რომელი, ადგილსა, მაგ. მკითხუჭლი, დაი-

დების ნაცულად: რომელიც კითხულობს; შემ-  
წირული ე.ი. რომელიც იქმნს შეწირუასა  
და სხ.

თ ა ვ ი მ ე ე ქ უ ს ე

შ ე თ ხ ზ ჯ ს ა თ ჯ ს ზ მ ნ ი ს - ზ ე დ ა თ ა .

§ 172. ზმნის-ზედანი მოეკიდებიან ზმნათა  
და მიმღობათა და აჩუწნებენ მოქმედებისა ანუ ვნე-  
ბისა ვითარებასა, რაოდენობასა, დროსა და ადგილ-  
სა, მაგ. ვალს ჩქარად; მავალი მჰსწრაფლად ად სხ.  
სხო. ზმნის-ზედანი მოუვლენ სახელთაცა, მაგ.  
გონიერთა სჯა მიგვყუანს ჭემმარიტებისადმი, გარ-  
ნა აქა უმჯობეს-არს ითქუას: გონიერული სჯა  
მიგვყუანს ჭემმარიტებისადმი: მწერალთა შემოუ-  
ტანიათ ესრეთი ხმარება ზმნის-ზედისა მიუხედუწ-  
ლად ენისა მოთხოვილებისა და ლექსთა უმშუწ-  
ნიერესისა შექსოვისა.

§ 173. ზმნის-ზედანი რაოდენობითნი მოეკიდე-  
ბიან რა ზმნათა ოდესმე სიტყუათა შინა, კუალად  
სხუათაცა ითხოვენ ზმნათა მოკიდებულთა რაოდე-  
ნობითითავე ზმნის-ზედათა, მაგ. ეგოდენ იდიდები,  
რაოდენცა გამოიცდები წერილთა შინა.

§ 174. ზმნის-ზედანი წარმოებულნი ზედ-შე-  
სრულთა სახელთაგან, ითხოვენ მასვე ბრუნუასა,  
რომელსაცა ზედ-შესრულნი, რომელთაგანცა ჰს-  
წარმოებენ იგინი, მაგ. მჰსგავსად ცეცხლისა და სხ.

§ 175. ორთა უკუთქმითთა ზმნის-ზედათა მდე-  
ბარეთა ერთისა თანა ზმნისა აქუსთ ძალი დამტკი-  
ცებისა, მაგ. არავინ მათგანნი არა იყო მუნ; არა  
არა წმინდა; ნუ ჰყოფ საქმესა განუსჯელად  
და სხ.

§ 176. ოდეს ერთი უკუთქმითი ზმნის-ზედა  
მიწერების ზმნასა და მეორე სახელსა, მაშინ დაჰშ-  
თების ჰაზრი უკუთქმისა, მაგ. არავინ გარდამავალი  
ჰსჯულისა არა იქების.

§ 177. კითხუათა ზედა ა.) სადა წარვიდა? იპა-  
სუხების: მცხეთად, ბ.) რად? იპასუხების. სი-  
ტყუად და სხ.

ესე ვითართა შემთხვევითა შინა სახელი შეიქმნების რეცა ზმნის-ზედად, და მიიღებს დაბოლოებათა: არ, დ. – ნაცუალ-სახელნი: ჩემი, შენი ის-პოზენ ბოლოსა ასოსა და ითქვიან: ჩემდა, შენდა.

§ 178. ასოდ თ ოდესმე იხმარების ნაცულად და, რაჟამს არსებითი სახელი გარდავალს ზმნის-ზედად, მაგ. კარგად, კარგათ; ცუდად, ცუდათ; შავად, შავათ და სხ.

§ 179. ზმნის-ზედად იხმარებიან ოდესმე, დღისი, დღე-ღამე და სხ. – ესე განირჩევის კითხვითა ოდეს, მაგ. დღისი ხმა ვჰყავ შენდამი და არა ისმინე ჩემი და ღამე, არა იღუაწე ჩემთვის ფს. 21. 2.

თ ა ვ ი მ ე შ ჯ დ ე  
შ ე თ ხ ზ ჯ ს ა თ ჯ ს თ ა ნ დ ე ბ უ ლ თ ა .

§ 180. თანდებულნი მოეკიდებიან მარადის სახელთა, ნაცულ სახელთა და მიმღობათა, – და ითხოვენ თვსდამი მოკიდებულთა მათ სიტყვსა ნაწილთა ანუ ნათესაობითად ანუ მიცემითად, მაგ. კაცისაგან; სახლოსა ზედა და სხ.  
სხო. უმეტესი ნაწილი თანდებულთა, მიმღებნი ნათესაობითისა ბრუნვსა, შეეთხზვან მიცემითსაცა ბრუნვასა, მაგ. ახლოს ქალაქისა ანუ ახლოს ქალაქსა. – მწერალთა უხმარიათ თანდებულნი მიუხედულად ჰემმარიტისა ენისა მოთხოვილებისა.

ყოველი პირი ქუჭყანასა მოვლო სრულად მოიარა

და, არ იარა,

ასე რომე ცასა ქუჭში არა დაუჩნ-

და, არ იარა,

ტარ. 723.

მიცემითსა უმეტესად მოითხოვენ თანდებულნი ოდეს სახელი შეეთხზვს საკუთრებითსა კაცთა სახელსა, მაგ. წინაშე ტაძრისა, წინაშე იოანესა ანუ იოანესსი; თვნიერ პავლესა; თვნიერ სიტყვსა და სხ.

§ 181. თანდებულნი, დასხმულნი წინარე, ითხოვენ ხშირად ნათესაობითსა ბრუნვასა; ხოლო დადებულნი შემდგომად მიცემითსა, მაგ. შორის ტაძრისა და ეკლესიისა; აღვიდა იგი მთისა წყურსა ზედა და სხ.

§ 182. თურთ ოდესმე მოუვა სახელთა ბრუნუასა შინა მოქმედებითა მომსპობელსა დაბოლოებითისა ასოდსა ა, მაგ. მოვიდა იგი კაცითურთ, ვარ მე მტყუანი სიტყვითურთ ჩემით; – გარნა რადგანაც ორნი დახუდებიან თ, ერთი თანდებულისა და მეორე მოქმედებითისა ბრუნუსა, ამისთვის ერთი მათგანი მოესპობის.

§ 183. უ, ოდეს მოეზავების სახელსა წინარე და არა აქუს მას ბოლოდ მარცხალი ესი, მაშინ ნიშნავს უკუთქმასა, მაგ. უბიწო, უმანკო, უცნობი და სხ. – ხოლო ოდეს სახელსა მოუვა ბოლოს ესი და თავსა უ, მაშინ შეიქმნების ხარისხი შეთანასწორებითი ანუ აღმატებითი (იხ. § 22. 124.)

§ 184. ოდეს იკითხვს სიტყუასა შინა სადადო, ანუ საიდგან? მაშინ დაიდების ნაცულად თანდებულისა, გან. – მოქმედებითი ბრუნუა მოსპობით დაბოლოებითსა ასოდსა ა, მაგ. მოვიდა იგი თფილისით ანუ თფილისითგან და სხ.

§ 185. თანდებულნი: დმი, მიმართ, გან, გამო; დაესხიან მარადის სახელთა შემდგომად და ითხოვენ ბრუნუასა ნათესაობითსა, მაგ. გაქუს სასოება ღუთისადმი, ანუ ღუთისა მიმართ, კაცისაგან ითქუა ესე: სიტყუსა გამო ჩემისა და სხ.

სხო. დმი და მიმართ, იხმარებიან ნაცულად ურთიერთისა, მაგ. კაცისადმი-მიმართ ამის მივალ მე.

§ 186. თანდებული მდე, მოკიდების ზმნისზედისა მარცხალთა ად ანუ დ, მაგ. მოვლეს მოციქულთა სოფელი კიდით კიდემდე; განითქუა ქადაგება მოციქულთა აღმოსავლეთით დასავლეთადმდე.

§ 187. ნაცულად თანდებულისა, ვიდრე, სახელნი მიიღებენ თავად მარცხალთა: მი, მო, მაგ. მიერთადმდე ე.ი. ვიდრე ერთადმდე ფრ. 13. 3. მიუკუნისამდე ე.ი. ვიდრე უკუნისამდე ფს. 136. 7. მოდღეინდელად დღედმდე ე.ი. ვიდრე დღეინდელად დღედმდე, საქ. მოც. 2. 29. მოაქამდე ე.ი. ვიდრე აქამომდე 1. კორ. 14. 15. და სხ.

§ 188. თანდებული თანა (თან), ოდესმე და-

ერთვს თავად სხუათა ლექსთა, მაგ. თანამდები, თანამემწე, თანხმა; ხოლო ოდესმე ბოლოს, მაგ. კაცთა თანა, ჩემთანა, მისთან მისული და სხ. – ლექსნი: ჩემისთანა, მისთანა, იოანესთანა და სხ. იხმარებიან საუბარსა შინა და წერილსაცა ნაცულად: ჩემებრი – ვი, მისებრი – ვი; იოანესებრი – ვი და სხ.

§ 189. ებრ თანდებული დამნიშუნელი მკვლავებისა მოვალს ბოლოს ლექსისა; ხოლო ოდეს მოვალს თავად ლექსთა, მაშინ დაერთვს ასოდ მ. მაგ. მეზრ ხატად, ზოგ-ჯერმე მოკვიდების სახელთა თვნიერ ბრუნვსა და შექსცულის მათ ზმნის-ზედად ანუ ზედ-შესრულად დართვთა ბოლოდსა მარცულისად ასოდსა ი ანუ მარცულისა ივი, მაგ. ანგელოზ-ებრ, ანგელოზებრი – რივი; სპილო, სპილოებრი – რივი და სხ. მდაბიოსა საუბარსა შინა ნაცულად მისსა იხმარების ებ, ებურ, ებური, მაგ. ხარებ ღმუვის; ჩუწნებურ და სხ.

§ 190. თანდებული მდე, ოდესმე მიიმატებს თავად ასოსა დ, და ითქმის, დმდე, მაგ. უკუნისამდე; დასასრულადმდე; დღედმდე, მოაქამდე.

§ 191. თ, ოდესმე იხმარების ნაცულად, გან, მაგ. არა სადადთ ანგელოზთადათ იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაამისა იწყო. ებრ. 2. 16.

თ ა ვ ი მ ე რ უ ზ

შ ე თ ხ ზ ჯ ს ა თ ჯ ს კ ა ვ შ ი რ თ ა .

§ 192. კავშირნი არიან წინამავალნი და შედგომილნი. წინამავალნი: უკეთუ, ოდეს, თუმცა და სხ. შედგომილნი: მაშა, მაშასადამე, მაშინ, გარნა, არამედ და სხ. – თუმცა იგი არს კაცი გონიერი, გარნა ჰსცდება დიდად; არა ოდენ სახმარ-არს, არამედ საქიროცა და სხ.

§ 193. კავშირნი: და; ვითარცა, ეგრეთცა; არა, არათუ, ანუ არათუ ოდენ, არამედ; ანუ, ანუ-თუ; ესრეთვე, ეგრეთუჲ და სხ. – შემაერთებელნი და განმყოფელნი ლექსთა სიტყუასა შინა მოითხოვენ ერთებრსა ბრუნუასა, მაგ. ღმერთმან შეჰქმნა ცა და ქუჭყანა; ვითარცა მზე, ეგრეთცა მთოვარე; არა-



თუ ოდენ კაცი, არამედ პირუტყუნცა, მიეცნენ  
წარღუნისა სასჯელსა და სხ.

§ 194. კავშირნი: ვითარმცა, ვითარმედ, რათა,  
რათამცა, რათამცაარა და სხუანი დაიდებიან ზმნათა  
თანა მექმნა ესე: ვიტყვ ვითარმედ, გონიერი არს  
კაცი იგი და სხ.

§ 195. კავშირნი: რამეთუ, ხოლო, ამისთვის,  
უკეთუ და სხუანი მიზეზისა დამნიშნულნი, მოეზა-  
ვებიან თავად სიტყუასა შინა, მაგ. რამეთუ მოვალს  
ჟამი ჩემისა ბედნიერებისა; ხოლო მე ვიტყვ ამას  
და სხ.

§ 196. რომელნიმე ზმნის-ზედანი სიტყუასა ში-  
ნა შეიქმნებიან კავშირად, მაგ. აწ ვიწყოთ სი-  
ტყუა; ვთქვ რა სიტყუა და სხ.

§ 197. კავშირთა თანა აღირიცხვან: თუ, ძი,  
რა. ამათთვის იხ. § 47. სხო. 3.

§ 198. არაოდენ, არათუ ოდენ ითხოვს  
ნიადაგ კავშირსა არამედ, მაგ. არათუ ოდენ სტუ-  
მარი, არამედ მეგობარიცა.

§ 199. რეცა, ხმარებული წერილსა შინა ნა-  
ცულად ვითარცა მოიღების მაშინ ოდესცა არა  
სრულიად ვამსგავსებთ რასამე, არამედ ვპოუ-  
ლობთ რომელსამე მსგავსებასა, მაგ. რეცა მძიმე  
და ძლიერი და სხ. – რუსულად ითქმის: Какъ бы  
Будьто бы. Какъ будьто бы.

§ 200. თურმე იხმარების საუბარსა ენასა  
შინა დასანიშნულად საქმეთა მათ, რომელნიცა  
სხუათაგან გუხმენია და თვთ არა გვნახავს, მაგ. თურ-  
მე მოსული, თურმე ღმერთი არ გასწირავს, კაცსა  
შენგან გაწირულსა..... ვეფხ. ტყ.

§ 201. მარცხალი ზე, დაიდების დროთა აღ-  
ნიშვნისა ჟამსა მაგ. პონტოელისა პილატესზე და სხ.

§ 202. ლა მარცხალი, შეერთდების ლექსთა და  
განავითარებს მათ:

ა. ზმნად საიჭუოდ კითხუასა შინა: არისლა? მო-  
ვალსლა?

ბ. მრავალთა ზმნის-ზედათა და კავშირთა: ვერღარა,  
ნურღარა, დაღათუმცა, ვიდრელა და სხ.

§ 203. თქო იხმარების ხშირად საუბარსა ში-

ნა და წერილსაცა, ოდეს სხვსა პირითა შევუთქლით  
ანუ დავაბარებთ რასამე სათქმელად მესამისადმი  
პირისა, მაგ. გამიკეთეთუო, წაიღეთუო: ეგრე-  
თუჭ მეთქი, ქმნილი ზმნისაგან მე ვჰსთქვ  
იხმარების, ოდეს თვსსა საკუთარსა ნათქუამსა მო-  
უთხრობდეს ვინმე, მაგ. მე უთხარი მეთქი და სხ;  
ხოლო სხვსა ნათქუამზედ იხმარების ო, რომელიცა  
ბოლოდსა ლექსისა მარცტულისა თანა შეერთდების  
მაგ. მე ვჰსთქვ სიტყუაო (§ 69. სხო. 9.): შემ-  
დგომად სამისა დღისა აღვჰსდგეო. მატ. 27. 65.

§ 204. თუ, ოდესმე იხმარების:

ა. განწულებითად ნაცტულად, ანუ, გინა, მაგ.  
თეთრი თუ შავი;

ბ. კითხვითად: მაგ. ჰსჭირდეს ვისმე თუ თქუწნსა  
ილოცევდინ, მოლხინე თუ ვინმე არს გალობდინ და  
სხ. იაკ. 5. 13. 14;

გ. თუობითად ნაცტულად უკეთუ, თუსადამე, მაგ.  
ქემმარიტად თუ სიმართლესა იტყვთ, სიწრფოე-  
ბასა ჰსჯიდით მენო კაცთანო; – დღეს თუ ხმასა  
მისისა ისმინოთ, ნუ განიფიხცებთ გულთა თქუწნ-  
თა. ფს. 57, 1. 94, 7. 52, 2.

დ. ოდესმე დაესხმის ნაცტულ-სახელთა: თუ,  
ვინ, თუ რომელი.

ე. ოდესმე ზმნის-ზედათა: თუ ვითარ, თუ რა-  
ოდენ.

ვ. იხმარების ნაცტულად მარცტულისა ძი, იხ. §  
47, სხო. 5.

§ 205. ცა კავშირი შეერთებითი ნიადაგ ბო-  
ლოს ლექსთა დაერთვს, მაგ. უფალიცა; მონაცა;  
მერმეცა და სხ. – ეგრეთუჭ იხმარების ნაცტულ-სა-  
ხელთა თანა და ზმნის-ზედათა, მაგ. ვინცა, რადცა,  
რომელიცა, ვითარცა და სხ. – საუბარსა ენასა შინა  
ცა, იხმარების შემოკლებულად ც, მაგ. შენც მო-  
ხვალ ჩემთან.

§ 206. სამე იხმარების ნაცტულად უკუჭ, მაგ.  
ღმერთნი სამე ხართ და შვლნი მაღლისანი. ფს. 81.

§ 207. მარცტულნი: ვე, რე და სხ. (§ 100.) ხში-  
რად იხმარებიან ოდესმე ბოლოს ლექსისა; და ოდეს-  
მე შთაიერთვიან საშუალ ლექსთა, მაგ. მოლა-

თუ-კუდა, მერმე იტყვს ყოველსა ველა ებრ. 11.

3; საქ. მოც. 18. 18. (იხ. § 92. 69. სხო. 2.) –

§ 208. ესე ვითართა მარცხალთა ხმარება ლე-  
ქსთა თანა იჩუწნების შემდგომთა მაგალითთა შინა:

ვე. – მანვე ჰსთქუა; ეგრეთუჭ უგულის-ხმოვე  
ხართა? (მარკ. 7. 18.) და სხ.

მე. – კაცი ვინმე მოვიდა და სხ.

მცა. – უკეთუმცა მიცოდეთ მე, მამაცა ჩემი  
იცოდეთ და სხ.

რე. – უდიდესადრე ვიტყვ და სხ.

ცა. – სიტყუაცა ერთი მარქუ და სხ.

და. – განაღა ჰსთქუას ერთი ორი, უმსგავსო  
და შორი-შორი. ტარ. 87. 143. 604. რაღაა იგი  
სინათლე? რასაცა ახლავს ბნელია.

..... მიცან ამბავი მის ყმისა

მოხვიდე, სრულ ვჰქმნა მაშინღა შენი წა-  
დილი გულისა.

სხო. ესენი საუბარსა ენასა შინა ოდესმე იბ-  
რუნვიან სახელთა თანა.

ა. საუბარსა ენასა შინა იხმარების მარცხალი-  
ცა კი ნაცულად: ხოლო, გარნა, მაგ. მან ეგე ინე-  
ბა, მე კი ესე ვჰყავ. – იმერელნი იხმარებენ მან ნა-  
ცულად, დიახ, დიახ – კი კი.

ბ. მარცხალი ყე, ანტონისა მიერ შემოტანი-  
ლი წერილსა შინა სრულიად არს უქმი ენასა ში-  
ნა; ნაცულად მისსა იხმარება უკეთესად და.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე

შ ე თ ხ ზ ჯ ს ა თ ჯ ს შ ო რ ი ს - დ ე ბ უ ლ თ ა .

§ 209. შორის-დებულნი ითხოვენ სხუათა და  
სხუათა ბრუნუათა:

ა. სახელობითსა, მაგ. მ უბადრუკი! მ სიღრმე სიმ-  
დიდრისა და მეცნიერებისა ღუთისა და სხ.

ბ. ნათესაობითსა მაგ. ვაჟ კაცისა მაგის! და სხ.

გ. მიცემითსა მაგ. ეჰა მხნესა კაცსა! და სხ.

დ. წოდებითსა, მაგ. მ! მოყუასნო ჩემნო; ჰე მეფეო  
რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა.

ტარ. 454.

დასასრული  
მეორისა ნაწილისა.

ნაწილი მესამე  
კანონიერ-წერისათვის.

§ 210. კანონიერ-წერა არს ნაწილი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს კანონიერსა წერითა გამოხატუასა ასოთა, მარცხალთა და ლექსთა სიტყუათა შინა.

§ 211. კანონიერ-წერა შეიცავს სამთა თავთა:  
ა. ხმარებისათვის ასოთა; ბ. განყოფისათვის მარცხალთა; გ. კანონიერ-წერისათვის ლექსთა, ჯეროვანითა ნიშანთა ხმარებითა დასაყოვნებლად ხმისა მოღებულთა სიტყუათა შინა.

თავი პირუფლი  
ხმარებისათვის ასოთა.

§ 212. ა. საუბარსა ენასა შინა შეიცვლების ასოსა ზედა ე, მაგ. ახლა, ეხლა; შამოიტანე, შემოიტანე და სხ. ბ, მდებარე წინაშე ასოჲსა რ, ოდესმე იხმარების ნაცულად ასოთა: მ, პ. მაგ. ბრუდე, მრუდე; ბრპენი. პრპენი; ბზინვარე, მზინვარე; ნაბერწყალი, ნაპერწყალი; ბილწი, პილწი.  
ბ ოდესმე დაერთვის სხუათაცა ასოთა თავად რომელთამე ლექსთა მაგ. ჟუილი, ბჟუილი; ჟირი, ბჟირი და სხ.  
სხო. ჰსცთებთან, რომელნიცა ჰსწერენ ფ, ნაცულად ბ, მაგ. ვასრულებ, ვასრულეფ.  
გ. იხმარების ზოგ-ჯერმე ნაცულად კ, ქ და ღ, მაგ. გურკა, კურკა; გერკი, კერკი; გრკალი, კრკალი; გალატოზი, კალატოზი; გრძილი, ღრძილი; ადეგ, ადექ და სხ.  
დ, საუბარსა შინა ოდესმე შეიცვთების ასოსა ზედა თ. მაგ. კარგად, კარგათ და სხ. (იხ. §178.)  
ვ, ოდესმე დაესხმის თავად სახელთა, ნამეტნავად წინარე ი, მაგ. იწრო, ვიწრო; იგრი, ვიგრი და სხ. – ზმნათა შინა ოდესმე დაიტევების იგი მეტადრე საუ-

ბარსა შინა ენასა, მაგ. ვუწერ, უწერ; ვუბნობ,  
უბნობ; ვუკეთებ, უკეთებ და სხ.  
სხო. ჰსცთებიან, რომელნიცა ჰსწერენ ვ, ნა-  
ცტლად უ, მაგ. ზრუნვა, ზრუნუა; ბრუნვა, ბრუ-  
ნუა; ექვსი, ექუსი და სხ.

ზ, ოდესმე იხმარების ნაცტლად ს, წინარე ასო-  
თა გ და დ, მაგ. მსგავსი, მზგავსი; მგსებსი, მგზეფ-  
სი; მისდევს, მიზდევს და სხ. – ეგრეთუჴ ხმოვანთა  
ასოთა შორის, მაგ. კათოლიკოზი-ისა; ანგელო-  
ზი – და სხ. – იხმარების იდესმე ნაცტლად წ და ძ,  
მაგ. ბუზუკი, ბუწუკი; ზანზარი, ძანძარი და სხ.  
წ, იხმარების თავად მხოლოდ შორის-დებულსა  
შინა, მაგ. წე! წე! ხოლო სხტათა შინა არა სადა.  
ჰსცთებიან, რომელნიცა იხმარებიან მას ლექსთა  
შინა: წეროდე, წეროდე, წერეთი და სხ. – ამათ  
მცირეთა შემთხუწვათა შინა უმჯობეს-არს რათა  
ვიხმაროთ მარადის ე, მაგ. ეროდე და სხ.

თ, განორებული დაიდების ლექსსა შინა: თთუჴ.

ი, მრავალნი ჰსწერენ ნაცტლად ი და ჰსცთე-  
ბიან, მაგ. ხეი, ხეი, ლექსსა შინა: ხეი, ი გამო-  
ითქმის, რეცა საშუალო რადმე შორის ი და ჰ: იგი  
შეხტდების ოდესმე ბოლოდ ლექსისა და ოდესმე  
საშუალ; ხოლო არა ოდეს.

კ, იხმარების ოდესმე ნაცტლად კ, (იხ. გ) და  
ოდესმე ნაცტლად ყ, მაგ. კურდღელი, ყურდღე-  
ლი; ნაბერწკალი, ნაბერწყალი; ყასაბი, ყასაბი და  
სხ.

ლ, ოდესმე შეიცტალების ნ ზედა, მაგ. ლაგა-  
ზი, ნაგაზი; ბალანი, ბანალი; სასიკუდილო, სას-  
კუდინო და სხ. – ოდეს ლექსსა შინა, დახტდებიან  
ორნი ლ, მაშინ ჰირუჴლი ლ შეიცტალების რ, მაგ.  
ლბილი, რბილი; წტლილი, წტრილი; ცალიერი,  
ცარიელი; ლელწამი, ლერწამი: – ოდეს ერთსა  
ლექსსა შინა დახტდებიან ორნი რ, მაშინ უკანა-  
სკნელი რ, შეიცტალების ლ ზედა, მაგ. მარგარიტი,  
მარგალიტი; ორჯერ, ორჯელ და სხ.

მ, ოდესმე შეიცტალების ნ ზედა, მაგ. მანგალი,

ნამგალი; მუგუზალი, ნუგუზალი; ხოლო ოდესმე  
ბ, ზედა (იხ. ბ.)

მ, ხშირად დაერთვს თავად სახელთა, მაგ. სხა-  
ლი, მსხალი; ტევანი, მტევანი; ტრედი, მტრედი;  
სუბუქი, მსუბუქი; შტწნიერი, მშტწნიერი და სხ.  
სხო. დაბალი, ნიშნავს სიდიდით მცირესა; ხო-  
ლო მდაბალი – მშვდსა გულითა.

ფ, თავად არა მოუვა ლექსთა, არამედ იხმარე-  
ბის ბოლოდ სახელთა დაბოლოებულთა ხმოვანთა  
ზედა ასოთა, მაგ. ვამდე მას-აქეთ დაუწუჯავ სახ-  
მილსა ნიადაგულსა... ვეფხ-ტყ. 542.

ო, რავდენტამე ძტწლთა ხუცურთა წიგნთა ში-  
ნა ხმარებული ნაცტლად უ, იწერების აწცა  
ლექსთა ზინა: დედოფალი. (დედუფალი.)

ო ზედა შეიცულების ოდესმე უა, მეტადრე სა-  
უბარსა ენასა შინა, მაგ. გუარჯილა, გორჯილა;  
კუამლი, კომლი; რაგუარი, როგორი; ხუამალდი,  
ხომალდი.

ო, საშუალ რომელთამე ლექსთა ნათესაო-  
ბითსა შინა ბრუნუასა შეიცულების უ ზედა, მაგ.  
ნიგოზი, ნიგუზისა; მინდორი, მინდურისა. სასწო-  
რი, სასწურისა და სხ.

ჟ, იხმარების ნაცტლად ზ (იხ. ზ.) და ოდესმე ჯ.  
მაგ. ჟინი, ჯინი; ჟირი, ჯირი; ბჟირი და სხ.

რ, იხმარების მდაბიურად ნაცტლად ს, ლ, და შ.  
მაგ. რძე, სძე, რძალი, სძალი, ნართი, ნასთი, ლბი-  
ლი, რბილი, რტო, შტო და ოდესმე დამატების  
თავად ლექსთა, ანუ სხუათა ასოთა წილ დაიდების,  
მაგ. ოდეს, როდეს.

რ, შთამატების მდაბიურად ორთა ხმოვანთა  
შორის, მაგ. ბუჟი, ბრუჟი; ბჟე, ბრჟე; ვეცხლი,  
ვერცხლი; ხოლო ვიეთთამე ლექსთა შინა სრუ-  
ლიად დაიტევების. მაგ. ზრდა, ზდა: ფერხი, ფეხი;  
წარსულა, წასულა.

ს, დაერთვს თავად წინარე რომელთამე ლექს-  
თა: კ, პ, ტ. მაგ. კუნელი, სკუნელი; პილენძი,  
სპილენძი; ტრიქონი, სტრიქონი და სხ.

ს. იხმარების ნაცტლად ზ და რ, (იხ. ზ და რ.) და  
ზოგ-ჯერმე წინარე ასოთა: პ და ტ, შეიცულების

შ ზედა, მაგ. მუსტი, შუშტი; ტასტი, ტაშტი;  
ქისპი, ქიშპი.

უკეთუ ლექსთა შინა იპოებიან ასონი: შ, ჭ,  
ჯ; მაშინ თავად მდებარე ასომ ს შეიცვლების შ,  
ზედა, მაგ. სინჯი, შინჯი; სიმშილი, შიმშილი;  
საჭამადი; შაჭამადი და სხ.

ს, შეიცვლების ოდესმე რ ზედა, მაგ. ჰსცხუტწ-  
ნის, ჰრცხუტწნის და სხ.

ტ. დაიდების ოდესმე ნაცულად ჭ, მაგ. ხუტტა,  
ხუტჭა; მოწმასნუა, მოტმასნუა; ფიტვ, ფიჭვ და სხ.

უ, უა, ხშირად იხმარების და საჭიროცა არს  
ხმარება მისი ნაცულად ვ, მაშინ ოდესცა ლექსისა  
გამოთქმისა ჟამსა ბაგეთა შინა ისმის ნახევრად ვ,  
და ნახევრად ე, მაგ. ყუტდრება, მისუტწნება და სხ.

ვ. თავად ლექსთა არაოდეს არა მოუვა;  
თუმცა-მოღებულ-არს იგი ბერძულისა ანბა-  
ნითგან და ნიშნავს იფსილონსა, გარნა სათუა-  
ლავსა შინა, არა რიცხვს; ამისთვის ლექსიკონისა  
ქართულისა შემადგენელსა, ორბელიანსა საბას და-  
უდვია შემდგომად ასომსა შ – საჭირო-არს ხმარება  
მისი ბრუნუათა შნა, ოდეს ლექსნი დაბოლოვდე-  
ბიან მარცულითა: უა და რომელთამე ზმნათა შინა,  
მაგ. სიტყუა, სიტყვსა; დაისეტყვს ვენახი შენი და  
სხ. – ბგერა მისი ბაგეთა შინა არს საშუალი და უ.

ფ. იხმარების ზოგ-ჯერმე ნაცულად მ, პ, მაგ.  
ფხალი, მხალი; ფალანი, პალანი და სხ.

ყ. იხმარების ოდესმე ნაცულად კ, მაგ. ყლორ-  
ტი, კლორტი; ყურდღელი, კურდღელი და სხ.  
(იხ. კ.)

შ. იხმარების ნაცულად ს. (იხ ს.) და ოდესმე  
ჩ, მაგ. შაშხი, ჩაჩხი; შვდმეტი, ჩვდმეტი; შიხაური,  
ჩიხაური (მესტუმრე); ჩამოვიდა, შთამოვიდა და სხ.

ჩ. იხმარების ოდესმე ნაცულად შ (იხ. შ) და ც,  
მაგ. ჩოჩუა, ცოცუა; ჩუდ-ყუავილა, ცუდ-ყუა-  
ვილა და სხ.

ც. იხმარების ნაცულად ჩ. (იხ. ჩ)

ძ. იხმარების ოდესმე ნაცულად ზ. (იხ. ზ) და ჯ,

მაგ. აძეძი, აჯეჯი.

წ, იხმარების ოდესმე ნაცულად ზ, (იხ. ზ) და ჭ,

მაგ. წმახი, ჭმახი; ხიწ, ხიჭ.

ჭ, ზოგ-ჯერმე ნაცულად წ. (იხ. წ) და ჯ. მაგ.

ჭინჭარი, წინჭარი; ჭინჭულა, ჯინჭულა.

ჭ, სრულიად არს უხმარ-ხორხისა ძალდატანებითა გამოთქმა მისი შეუძლიანთ დიახ მცირედთა ქართულთა, რომელთაგან ხიზიყელნი უმეტესად იხმარებენ და არს იგივე ხ, მაგ. ჯარი, ხარი; მჯარე, მხარე; ჯელი, ხელი და სხ. – მიუღიათ ასო სათუალავისა მიზეზისათვის, რომლითაცა დაინიშნების 7000 ამისთვის უმჯობეს-არს შეერთება ორთავე ასოთა ხ და ჯ, ერთ-ასოდ, ანუ იხმარონ ნაცულად ერთისა მეორე ვისაცა ვითარ ენებოს.

ჯ, იხმარების ოდესმე ნაცულად: ჟ, ძ, ჭ, (იხ.

ჟ, ძ, ჭ)

ჭ, იხმარების ზმნათა შინა რომელთაცა პირულ-

სა პირსა შინა შემდგომად ვ აქუსთ რომელიმე უხმო ასოდ, მაგ. ვჰსჯი, ჰსჯი; ვჰსწერ, ჰსწერ და სხ.

ჭ, შემოტანილი ანბანასა შინა სათუალავისათვის სადაცა ჰნიშნავს 10.000 არა შეირაცხება ასოდ, არამედ არს შორის-დებული (იხ. §102.) ჭ.

ლექსისა შედგენასა შინა არა შევალს არა-ოდეს. მწერალთა შემოუტანიათ მჰსგავსად ბერძნულისა უკანასკნელისა ასოდსა (ომელა). – აპოკალიპსისა შინა დაწერილ-არს; მე ვარ ანი და ჭ ანუ ბერძულად ალჭა და ომელა (თ. 1. 8.)

ჭ, არს მიღებული ახლად, ვჰგონებ რუსულისა ენისაგან, და ჰსწერენ ლექსთა შინა: ჭილოსოჭია, ჭიზიკა და სხ. გარნა ძულთა წერილთა შინა ნაცულად მისისა უხმარიათ ასოდ ფ, მაგ. სერაფიმნი მხმობარენი. საბა ორბელიანი ჰსწერს რეცა ძულთა წერილთა შინა ენახოს ხმარებული ჭ და რეცა შემდგომად მწერალთა უგულუბელს ექმნათ იგი; გარნა მე მექონმან და მნახულმან მრავალთა ძულთა წიგნთა ვერასადა ვჰპოვე იგი, და არცა ხმარებულა იგი სათუალავსა შინა.

სხო. ანტონი მოიღებს ღრამმატიკასა შინა



თვსსა ასოსა <sup>1</sup>, რომელიცა უნდა რეცა დაიდებოდეს ნაცტულად ხმოვანთა უხმოთა შორის ასოთა, შესაყენებულად ძნელ-გამოსათქმელისა ზგერისა (დრ. ანტ. § 157. სხო. 7.) ვითარცა ლექსთა შინა ყრმზი ე.ი. მეწამული; მდდსი ე.ი. მნათე; გარნა უმჯობესია დაიწეროს ქართულად: ყირმიზი, მილდისი და სხ.

§ 213. ასონი ეკვლესიურსა ხმარებასა შინა უხმარიათ ორ-გუარად: ასო მთავრულად და ლიტონად; ხოლო სამოქალაქოსა ანუ მხედრულსა წერილსა შინა არა ჰსჩანს რათა ეხმაროსთ ძუჭლად ასო-მთავრულნი. ამისა მიზეზისათვის არა არს საჭირო რათა მხედრულთა ასოთა წერისა ჟამსა ვჰსწერდეთმცა ასომთავრულთა ჯგეროვანთა ადგილთა შინა.

§ 214. ასო-მთავრულნი დაიდებიან ხუცურსა შინა:

- ა. შემდგომად წერტილისა ოდეს სრულ-იქმნეს ყოვლადი პერიოდი ანუ წინადადება, მაგ. მოვიდა ძმა ჩემი; დადუმდა ენა რიტორი და სხ.
- ბ. სტიხთა დაწყებისა და თავად ტრიქონთა.
- გ. დაიწერებიან ასო-მთავრულითა ასოდთა საკუთრებითნი სახელნი; სახელი ჭემმარიტისა ღუთისა; წოდებანი სწავლათა, აზნაურებითთა ხელოვნებათა და სხ.
- დ. ყოვლადი ტიტული მამულითისა ხელმწიფისა და სახლისა მისისა დაიწერების ასო-მთავრულითა ასოდთა მაგ. მისი იმპერატორებითი დიდებულება, ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე.

#### თ ა ვ ი მ ე ო რ ე

გ ა ნ ყ ო ფ ი ს ა თ ვ ს მ ა რ ც უ ა ლ თ ა .

§215. ოდეს მარცულნი ლექსისა გარდაიტანებიან ერთისა ტრიქონისაგან მეორესა ტრიქონსა ზედა, მაშინ დაინიშნების ნიშანითა გარდასატანითა (-), აქა შეიმეცნებიან შემდგომნი კანონი:

- ა. ლექსნი ერთ-მარცულოვანნი არა ოდეს არა გარდავლენ მეორესა ტრიქონსა ზედა, მაგ. ხმა, ხბო, ხე და სხ.

ბ. ლექსნი თანდებულთა ანუ სხუათა ლექსთა თანა შეკრულნი გარდავლენ ესრეთ თანა-მდები; აღმოსული; ქუჭ-მდებარე და სხ.

გ. ჰრთულთა ლექსთა შემადგენელნი ნაწილნი სიტყვსა უშესაბამესად დაიწერებიან გარდაბმით ნიშნითა (-), მაგ. მჭევრ-მეთქვ; ერთ-არსება, თანა-შემწე და სხ.

ხოლო ოდეს დახუდებიან მარცჳალნი უაზრონი ანუ არა-დამნიშუნელნი ლექსისა რაღსამე, მაშინ არა საჭიროებს რათა გარდაიბმოდენ ნიშნითა ამით (-). მაგ. აღმოსული, შთამოსული; მოღებული და სხ.

დ. გარდატანისა ჟამსა ლექსისა ტრიქონისაგან მეორესა ზედა ტრიქონსა მარადის უნდა იპოვებოდეს მარცჳალსა შინა ერთი რომელიმე ხმოვანი ასო, მაგ. პო-ხი-ლი, დი-დე-ბუ-ლი, შა-ვი, უ-კე-თე-სი და სხ.

## თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

კანონიერ-წერისათვის ლექსთა და სიტყუათა.

§216. ძუჭლთა მწერალთა ჩუჭნთა უქონელობისა გამო ღრამმატიკისა კანონთა უწერიათ ვისაცა ვითარ უნებებია. ამისთვის ვერ-სადა ჰპოვებთ რათა მოღებით მათგან შედგენენ მართ-წერისა კანონნი. თვთ კათოლიკოზი ანტონი არა შეჰსდგომია საზოგადოთა კანონთა, თუმცა მოუღია მათთვის იგინი. ყოველთა მწერალთა დაწყებით IX საუკუნისა ვიდრე XIX საუკუნემდე უხმარიათ სხუანი და სხუანი ნიშანნი მოღებულნი ენათაგან ბერძნულისა, სომხურისა და რუსულისა. – ამისთვის საჭიროცა არს და უკუეთესიცა, რათა აწ ხმარებულნი ნიშანნი წერილსა შინა ევროპისა ენათა შემოვიდნენ საზოგადოსა ხმარებასა შინა ქართულისა ენისათვის.

§ 217. ნიშანნი საჭირონი კანონიერ-წერისათვის არიან შემდგომნი:

- ა. მძიმე (,)
- ბ. წერტილი და მძიმე (:)
- გ. ორი წერტილი (:)

- დ. წერტილი ( . )
- ე. ნიშანი კითხვითი (?)
- ვ. ნიშანი განკვეთვითი (!)
- ზ. ფრჩხილი ( )
- წ. შემკურთხეული ანუ გარდასატანი ( - )
- თ. კლებული ( ° )
- ი. ბრჯგუ, უნისა თავსა ზედა ( უ )
- ია. სამოწმებელი ( „ „ )
- იბ. ქარაგმა ორ-გუარი ( ~ )

სხო. მნიშვნელობანი ამათნი იგივენი არიან ვითარცა რუსულსა ენასა შინა და ამისათვის არღა შემოვიტანე აქა ხმარებათათვის მათთა კანონნი.

§218. ქარაგმა იხმარების შესამოკლებად სიტყვსა ხუცურსა და მხედრულსაცა წერასა შინა. პირუჭლი გუარი ქარაგმისა ( ~ ) დაიდების სამღრთოთა ზედა და წმინდათა სახელთა; ხოლო მეორე ( ~ ) საზოგადოთა ლექსთა შესამოკლებელად იხმარების.

219. ქარაგმანი ქართულსა ენასა შინა ხმარებულნი მოეზავებიან შემდგომთა ლექსთა:

- ა~ნ, ა~დ, ან~გზი – ამინ, არამედ, ანგელოზი.
- გზ~ენ, გ~ი – გიხაროდენ, გიორგი.
- დ~ბა, დ~ბული – დიდება, დიდებული.
- ვ~ა, ვ~რ, ვ~ე, ვ~დ, ვ~ემდის – ვითარცა, ვითარ, ვიდრე, ვითარმედ, ვიდრემდის.
- ზ~ა – ზედა.
- თ~ა – თანა.
- ი~ე, ი~ლიმ, ის~ლი – იოანე, იერუსალიმ, ისრაელი.
- კა~თკისი – კ~დ, კ~თხევა – კათალიკოსი, კუ~ალად, – კურთხევა.
- მ~დის, მ~რთ, მ~რ, მყს~ლად – მარადის, მიმართ, (მომართ) მიერ, მეყუსეულად.
- ქ~ი – ჟამი.
- რ~ , რ~ა, რ~ლი, რ~ლ – რამეთუ, რათა, რომელი, რომელ.
- უ~ი, უ~კი, უ~კე – უფალი, უკუნითი, უკუნისამდე.
- ფ~დ, ფ~დი – ფრიად, ფრიადი.

ქე, ქენე, ქკს, ქყანა – ქრისტე, ქრისტიანე,  
ქორონიკონს, ქტყყანა (.).  
ღი, ღთაება, ღთ-შემოსილი, ღივ-სულიერი,  
ღის-მშობელი – ღმერთი, ღთაება, ღთივ-  
სულიერი, ღთის-მშობელი.  
ყი, ყდ – ყოველი, ყოვლად.  
შა, შდ, ში, შე, შენ, შს – შინა, შემდგო-  
მად, შენი, შეგვწყალე, შეგვწყალენ, შორის.  
ჩი, ჩნი – ჩემი, ჩტყნი.  
წა, წო, წე, წწრ, წწყლი – წმინდა, წმინ-  
დაო, წინაშე, წინასწარ, წინასწარ-მეტყუ-  
ლი.  
ჭტი, ჭტად – ჭემმარიტი, ჭემმარიტად.  
ხ – ხოლო.  
ჯი – ჯუარი. (\*)

---

(.) ქ. ნაცტლად: ქრისტე, მრავალთა მსოფლიოთა  
მწერალთა უხმარიათ დასანიშუნელად მაცხოვრი-  
სა სახელისა, რომლისაცა შეწევნითა იწყებენ წე-  
რასა ანუ ანგარიშსა. ესე ვითარი ხმარება საქარ-  
თტყლოსა შინა იპოების დღესცა ვაჭართა შო-  
რის.

(\*) ანტონი განწყოფს ქარაგმათა სამღრთოთა  
სამ. გუარად: ა. ლიტრიად, რომელიცა იქმნების  
სამღრთოთა ლექსთა ზედა მაგ. ღი, ქე და სხ. - ბ.  
ტულიად, რომელიცა იხმარების შემდგომად ღისა  
დიდთა სიწმინდეთა ზედა მაგ. ჯი და სხ. - გ. იპერ-  
ტულიად ე.ი. დიდთა საპატიოთა ზედა. მაგ. წმინ-  
და, ვხევა და სხ. ღრ. ანტ. შესაბ. წერ. §20, 21, 23.

### პ რ ო ს ო დ ი ი ს ა თ ვ ს .

§ 2 2 0 . პ რ ო ს ო დ ი ა საზოგადოდ არს ნაწი-  
ლი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს, თუ რო-  
მელთა მარცუალთა (ლექსთა) შინა ჯერ-არს გა-  
მოღება გრძლად და რომელთა მოკლედ.

თვთოეულსა ლექსსა შინა იქმნების ერთი გრ-  
ძელი; ხოლო სხუანი მოკლენი; ნიშანი გრძელისა

მარცულისა არს – ხოლო მოკლისა – გრძელი  
მარცული არს იგი, რომელსა ზედაცა ამაღლდე-  
ბის ხმა.

§ 221. ქართულისა პროსოდისა კანონნი არიან  
შემდგომნი:

ა. ერთ-მარცულოვანნი ლექსნი ყოველნივე  
არიან გრძელნი ვა ყოველთავე ენათა შინა, მაგ. მე,  
შენ, ძმა, ხმა და სხ.

ბ. ორ-მარცულოვანთა და სამ-მარცულოვანთა  
ლექსთა შინა კლი არს გრძელი და სხუანი მოკლე-  
ნი, მაგ. მამა, მეფე, კაცი, დიდება, ტამარი და სხ.

გ. ოთხ-მარცულოვანთა, ხუთ-მარცულოვანთა,  
ექუს-მარცულოვანთა და უმეტესთა ლექსთა შორის  
აღირიცხვან მარცუალნი ბოლოთგან და მესამე მარ-  
ცული დასასრულითგან არს ნიადაგ გრძელი, მაგ.  
განათლება, ბედნიერება, განმანათლებელი, წარ-  
მოვლინებული და სხ.

ს ხ ო . ა. კანონთა ამათგან არა განემორებინ  
ბრუნვლნი, არცა მიმოხრილნი, არცა რთულნი, არ-  
ცა სხმით-გარდასლვთნი ქართულისა ენისა ლექს-  
ნი, მაგ. კაცი, კაცისა, ვამსუბუქებ და სხ.

ბ. სათვთონი სახელნი უცხოთა ენათა, მაგ.  
კონსტანტინე, ალექსანდრე და სხ. გამოითქმიან  
თვსებისაებრ საზოგადოდსა ქართულთა ლექსთა  
ხმარებისა.

დასასრული .

Quod huic opusculo deest suppleat actas.